საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-08/19269
19/11/2021

19269-2-08-2-202111191924

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

მოგეხსენებათ, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის (F3) უბისა-შორაპანის მონაკვეთის მშენებლობის განხორციელების დროს გამონამუშევარი ფუჭი ქანების №13 სანაყაროს გაფართოების მოწყობის პროექტი შეთანხმებული იქნა თქვენი 2021 წლის 17 ნოემბრის N11896/01 წერილით და აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ხსენებული სანაყაროს განთავსების ტერიტორია მოიცავს მოქმედი ხევის (მდინარე ვანცაძისღელე) კალაპოტს და მის მიერ ფორმირებულ ხეობას, ერთ-ერთ მთავარ საკითხს სანაყაროს მოწყობის უბნიდან ხეობაში გამავალი მდინარის ნაკადის მოცილება წარმოადგენს. ამ მიზნით დაგეგმილია სანაყაროს პერიმეტრის მაღალ ნიშნულზე, არსებულ ხევზე მცირე ზომის წყალმიმღების მოწყობა. წყალმიმღების საშუალებით ხევის ბუნებრივი ჩამონადენი გადამისამართდება პროექტით გათვალისწინებულ ხელოვნურ არხში. ხელოვნური არხის საშუალებით ხევის წყალი იმოძრავებს სანაყაროს პერიმეტრის გვერდის ავლით. აღნიშნულმა ღონისძიებებმა, გამონამუშევარი ფუჭი ქანების გაზრდილი მოცულობების მიუხედავად უნდა უზრუნველყოს როგორც სანაყაროს პერიმეტრის, ასევე მიმდებარე ფერდობების და ქვედა ნიშნულებზე არსებული ტერიტორიების დაცვა წყალდიდობის, დატბორვისა და ეროზიული პროცესებისგან.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად, სკრინინგის პროცედურისთვის, ელექტრონული სახით გიგზავნით, აღნიშნულ პროექტზე სათანადო ინფორმაციას და გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და წარმოგვიდგინოთ

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

დანართი: სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

სალომე წურწუმია

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე